ინდივიდუალური აუდიტორი

ს. ნონიაშვილი SARAS-A-398248

№6 27 აპრილი 2022 წ.

აუდიტორული დასკვნა

ინდივიდუალურ აუდიტორს ს.ნონიაშვილსა და შ.პ.ს. ტელეკომპანია "კავკასია"-ს (ს/ნ №203842823) შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად აუდიტორმა ს. ნონიაშვილმა (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-398248) განახორციელა აღნიშნული საზოგადოების 2021 წლის წლიური ანგარიშგების აუდიტორული შემოწმება.

აუდიტმა რომელიც ჩატარებულია "აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონისა და საყოველთაოდ მიღებული სტანდარტების შესაბამისად საშუალება მოგვცა ობიექტურად შეგვეფასებინა წარმოდგენილი ანგარიშგება და დავრწმუნებულიყავით, რომ იგი არ მოიცავს არსებით შეცდომებსა და უზუსტობებს.

ჩვენს მიერ აუდიტი იმგვარად იყო დაგეგმილი და ჩატარებული, რომ მიგვეღო გარანტია იმისა, შეიცავს თუ არა საზოგადოების ფინანსური და საგადასახადო ანგარიშგება მნიშვნელოვანი სახის ხარვეზებსა და შეცდომებს.

საზოგადოება ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს ბუღალტრული აღრიცხვის საქართველოში არსებული სტანდარტების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მონაცემთა დამუშავების სისწორეს და ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების დაცვას.

საბანკო ანგარიშებიდან ამონაწერების, საგადასახადო დავალებებისა და სალაროს ბრუნვის ამსახავი დოკუმენტების საფუძველზე დეტალურად განხორციელდა ანგარიშსწორების ანგარიშზე ჩატარებულ ოპერაციათა აუდიტი.

დანახარჯების, საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯებისა და შემოსავლების შემოწმებამ წარმოდგეილი პირველადი დოკუმენტების მიხედვით დაადასტურა მათი გაწევის რეალობა, ბალანსის შესაბამის ანგარიშზე მიკუთვნების სისწორე, საგადასახადო მიზნებისათვის ხარჯთაღიარების მართებულება.

ჩვენის აზრით წარმოდგენილი ანგარიშგება და განხორციელებული სამეურნეო და ფინანსური ოპერაციები ობიექტურად და რეალურად ასახავს კომპანიის ფაქტიური საქმიანობის მდგომარეობას.

საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლები რეალურია. სულ მიღებულმა საოპერაციო შემოსავლებმა შეადგინა 472 ათასი ლარი, საიდანაც 215 ათასი ლარი არის სამაუწყებლო შემოსავალი, 257 ათასი ლარი – სხვა შემოსავალი.

შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯები დასტურდება დოკუმენტურად და ძირითადში იგი მოიცავს ანძის მომსახურების ხარჯებს, სატელევიზიო სარეიტინგო კვლევების ხარჯებს, ხელფასებს და სხვა მიმდინარე საერთო-ადმინისტრაციულ ხარჯებს.

სამეურნეო წელი კომპანიამ დაასრულა ზარალით.

ბუღალტრული ანგარიშგება შედგენილია იმ საკანონმდებლო ნორმატიული აქტების შესაბამისად, რომლებიც არეგულირებენ საქართველოში ბუღალტრულ აღრიცხვასა და ანგარიშგებას. სამეურნეო-საფინანსო ოპერაციები განხორციელებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. განხორციელებულ ოპერაციებზე საგადასახადო ვალდებულებები შესრულებულია საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

აუდიტორი ს. ნონიაშვილი (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-398248) ადასტურებს, რომ შპს ტელეკომპანია "კავკასია"-ს მიერ წარმოდგენილი ანგარიშგება რეალურად და ობიექტურად ასახავს საზოგადოების მიერ 2021 წლის მანძილზე განხორციელებულ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს.

ინდივიდუალური აუდიტორი: ს. ნონიაშვილი